კონფლიქტების ანალიზის და მართვის სამაგისტრო პროგრამა

1) პროგრამის სახელწოდება: კონფლიქტების ანალიზი და მართვა
Conflict Analysis and Management

2) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კონფლიქტოლოგიის მაგისტრი
Master of Arts in Conflictology

3) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

4) სწავლების ენა: ქართული.

5) პროგრამის მიზანი

კონფლიქტების ანალიზის და მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც სხვადსხვა დონის კონფლიქტების სტრუქტურის, შინაარსის და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებათა შესახებ ექნება ცოდნა. ასევე მკვლევარი/პრაქტიკოსების მომზადება, რომელზსაც შეეძლებათ თავიანთი ცოდნის გამოყენება ისეთი კონფლიქტების ანალიზის, მოგვარების და პრევენციისთვის, როგორიცაა ინტერპერსონალური, ინტერჯგუფური, ოჯახური, სკოლის და საგანმანათლებლო სისტემის, ბიზნეს კონფლიქტები, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური თუ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები.

6) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

კონფლიქტოლოგიაში სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მასზე ჩაბარება შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრს ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომის მქონეს, რომელიც გადალახავს სახელმწიფო სამაგისტრო გამოცდის მინიმალურ ზღვარს. აუცილებელია უცხო ენაში B1 დონის ცოდნა. ბარდება წერილობითი გამოცდა სპეციალობაში და გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში (B1).

7) სწავლის შედეგი:

სამაგისტრო კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული:

- ფლობს ღრმა თეორიულ ცოდნას.
- ფლობს კონფლიქტის კვლევის მეთოდებს, მონაცემების სტატისტიკური დამუშავების, შედეგების ანალიზის და პრეზენტაციის

მეთოდებს.

- ფლობს კონფლიქტის მოგვარების ალტერნატულ მეთოდებს.
- შეუძლია მეცნიერული თუ პრაქტიკული კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება;
- ფლობს ინფორმაცია შესაბამისი და მოსაზღვრე სფეროში დასაქმებული ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკის შესახებ.

დარგობრივი კომპეტენცია:

1	ცოდნა და გაცნობიერება	• აქვს კონფლიქტების ანალიზის და მართვის სფეროში მრავალმხრივი და სისტემური თეორიული ცოდნა, რომელიც ხელს უწყობს იდეების შემუშავებას • აქვს მიმდინარე და ქრესთომატიულ კონფლიქტების შესახებ ცოდნა, ამ კონფლიქტების ანალიზის შესრულების თვალსაზრისით • აქვს კონფლიქტების ანალიზის და მოგვარების კომპლექსური საკითხების და პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერება
2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• გააჩნია კონფლიქტების ემპირიულად შესწავლით მიღებული მასალის დასამუშავებლად სხვადასხვა კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი (მათ შორის მზა სტატისტიკური პაკეტის SPSS ცოდნა) • გააჩნია კონფლიქტების ანალიზის დამოუკიდებლად შესრულების და კრიტიკული გააზრების უნარი • გააჩნია ფუნდამენტური და პრაქტიკული ხასიათის კვლევის დაგეგმვის, ჩატარების და ინტერპრეტირების უნარი • ფლობს რეალურ კონფლიქტში მესამე მხარედ ჩართვის და სადავო საკითხზე რეკომენდაციების შემუშავების უნარს • შეუძლია ცოდნაზე დაფუძვნებული ახალი იდეების შეჯამება და გააჩნია პრობლემური სიტუაციის ახლებურად გადაჭრის გზების ძიების უნარი
3	დასკვნის უნარი	• შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის დიაგნოსტირება, პრობლემის გამოყოფა და მათი გადაჭრისათვის გზების ძიება დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე • აქვს ემპირიული მასალის შედეგების დამუშავების, ანალიზის, განმარტების და ლოგიკურად დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი • აქვს ანალიზის, სინთეზის და განზოგადოების უნარი • შეუძლია კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
4	კომუნიკაციის უნარი	• აქვს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან რელევანტურ გარემოში რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების არგუმენტირებულად გადაცემის უნარი • აქვს პრაქტიკული ან სამეცნიერო მუშაობისთვის კონფლიქტების ანალიზის და დარეგულირების

		სფეროსთან დაკავშირებით წერილობითი და ზეპირი ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი • აქვს კონფლიქტთნ დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების უნარი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვადასხვა რაკურსით მათი გამოყენების, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის უნარი
5	სწავლის უნარი	• შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვა და მაღალი დონის მობილობა, სწავლის პროცედურების და პროცესების გათვალისწინება • შეუძლია შემდგომი სწავლის გაგრძელების საჭიროების გაცნობიერება პროფესიული სრულყოფის მიზნით ცვალებად გარემოსთან მიმართებით
6	ღირებულებები	• შეუძლია ღირებულებითი ორიენტაციების დაცვა, შეფასება და გავრცელება (სოციალური სამართლიანობა, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებები, სიძულვილის ენის არგამოყენება და ეთნიკური უმცირესობების პატივისცემა და სხვა) • შეუძლია სხვების ღირებულებითი ორიენტაციის პოზიციის პატივისცემა, მათ მიმართ მიმღებლობა და სიახლეების ხელშეწყობა

8) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ლექცია, 2. სემინარი, 3. პრეზენტაცია, 4. შემთხვევების ანალიზი (Case studies), 5. გონებრივი იერიში, 6. როლური თამაშები, 7. ტრენინგები, 8. სიმულაციები, 9. ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი, 10. დისკუსია/დებატები, 11. ჯგუფური მუშაობა, 12. შემთხვევის ანალიზი, 13. დემონსტრირების მეთოდი, 14. ახსნა-განმარტების მეთოდი, 15. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, 16. წიგნზე მუშაობის მეთოდი, 17.პრაქტიკა და გამოცდილებითი სწავლა-აწავლების სხვა მეთოდები.

9) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
- **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ქულა	შეფასება	შფასების კლასიფიკაცია	GPA
91%-100%	(A) “ფრიადი”	დადებითი	4.0
81%-90%	(B) “ძალიან კარგი”	დადებითი	3.0
71%-80%	(C) “კარგი”	დადებითი	2.0
61%-70%	(D) “დამაკმაყოფილებელი”	დადებითი	1.0
51%-60%	(E) “საკმარისი”	დადებითი	0.5
41%-50%	(FX) “ჩაიჭრა” (გამოცდის გადაბარების უფლებით)	უარყოფითი	0.0
0%-40%	(F) “ჩაიჭრა” (კურსი უნდა გიაორს ხელახლა)	უარყოფითი	0.0

10) დასაქმების სფეროები: კონფლიქტოლოგიის მაგისტრების დასაქმების სფერო ვრცელია: კონფლიქტოლოგიის მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ ყველა სფეროში, სადაც მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენცია, მოგვარება, მართვა. მათ წარმატებით შეუძლიათ იმუშაონ როგორც სამთავრობო, ისე კერძო ორგანიზაციებში, ადგილობრივ თემში, სასწავლო დაწესებულებებში და სხვაგან წამოჭრილი სადაო საკითხების მოსაგვარებლად, ასევე დიდია მათი როლი სხვადასხვა თანამდებობის მქონე მუშაკთა მომზადებაში სათანადო ტრენინგების საშუალებით, რათა მათ შეძლონ თავიდან აიცილონ კონფლიქტური სიტუაციები ან კონფლიქტის შემთხვევაში მოაგვარონ წამოჭრილი

კონფლიქტები მოლაპარაკების და კონფლიქტის მოგვარების სხვა ალტერნატული მეთოდების გამოყენებით, რითაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნებისმიერი დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ინტენსიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში. ამასთან ერთად მაგისტრატურაში ხდება მათი მომზადება სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

11) დამატებითი ინფორმაცია : პროგრამა მოემსახურება 20 სტუდენტს.

პროგრამის ანალოგები:
George Mason University (USA) – http://icar.gmu.edu/
American University (USA) - http://www.american.edu/sis/programs/MA-IPCR-and-Teaching.cfm
Maryland University (USA) http://www.inform.umd.edu/EdRes/Topic/Diversity/Response/UM/articles/out.html
Harvard University(USA) - http://www.pon.harvard.edu/category/dispute-resolution-directory/
Johns Hopkins University(USA) - http://www.sais-jhu.edu/academics/functional-studies/conflict-management/courses.htm
University of Denver (USA) - http://www.du.edu/con-res/grad_program/index.html

პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსები:
პროფესორი - 3 (გუგული მაღრაძე, რევაზ ჯორბენაძე, ნოდარ ბელქანია)
ასოცირებული პროფესორი - 3 (ზურაბ აბაშიძე, თეონა მატარაძე, ნათელა დონაძე,)
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ლაშა ტუღუში)
მოწვეული ლექტორი - 8 (ვახტანგ მაისაია, მარეხ დევიძე, დარეჯან აფციაური (ინგლისური ენა), თათია ქართლელიშვილი, ირაკლი წიკლაური, ქეთევან ვასაძე, დიმიტრი გეგენავა, ივანე კეჭამაძე (SPSS).
P.S. მოწვეული ლექტორებიდან ექვსი წარუძღვება მხოლოდ ერთ სასწავლო , არჩევით კურსს.

12) პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამას ეკუთვნის:

- 240-ე სამუშაო ოთახი (თსუ II კორპუსი), რომელში ტარდება სალექციო კურსები და მეცადინეობები სტუდენტებთან.
- 239-ე აუდიტორია (თსუ II კორპუსი), რომელიც დატვირთულია სასწავლო ცხრილით.

- კონფლიქტოლოგიის პროგრამას აქვს ტექნიკური აღჭურვილობა, კომპიუტერები, მინი ბიბლიოთეკა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

დეპარტამენტი: ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: გუგული მაღრაძე, პროფესორი
რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 2011 წლის 29 ივნისი, # 57 დადგენილება
დანართი 256 (ყოფილი დანართები 233 და 44)

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №61/2015 - 19 ივნისი, 2015 *(ცვლილება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროგრამების გადატანის მიზნით)*; დადგენილება № 137/2015 - 28 დეკემბერი 2015;
დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 23/2016 - 29 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №91/2018 - 19 მარტი, 2018; დადგენილება №199/2018 - 13 სექტემბერი, 2018; დადგენილება №25/2019 - 4 მარტი, 2019; დადგენილება №76/2020 - 30 ივლისი, 2020

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013 სასწავლო წელი

პროგრამის სტრუქტურა

	საფაკულტეტო კურსები/მოდულები 120 კრედიტი (ECTS)											
	საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 65 კრედიტი (ECTS)											
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			I	II	III	IV	
1	შესავალი კონფლიქტოლოგიაში	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე					პროფესორი გუგული მაღრაძე
2	კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები 1	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე					პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
3	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე					ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე

4	კონფლიქტები „ცივი ომისა“ და მის შემდგომ პერიოდში (1945-1999)*	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე					ასოც. პროფესორი ზურაბ აბაშიძე; მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე
5	საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა**	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე					მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
6	კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები 2	5	15	30	5	75	კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები 1					პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
7	სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე					ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე
8	საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე					მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
9	კონფლიქტის გლობალური კონტექსტი	5	30	15	5	75	შესავალი კონფლიქტოლოგიაში					პროფესორი გუგული მაღრაძე
10	მშვიდობის მშენებლობა	5	30	15	5	75	შესავალი კონფლიქტოლოგიაში					პროფესორი გუგული მაღრაძე
11	საერთაშორისო კონფლიქტები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე					ასისტენტ-პროფესორი ლაშა ტუღუში
12	მედიაცია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე					პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
13	სამაგისტრო კვლევის დიზაინი	5	30	15	5	75	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები; სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები					პროფესორი რევაზ ჯორბენაძე; ასოც. პროფესორი ნათელა დონაძე; მოწვეული ლექტორები: მარეხ დევიძე,

												თათია ქართლელიშვილი
14	**სამაგისტრო ნაშრომი**	30	30			720	90 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი)					სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
	საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - 20 კრედიტი (ECTS)											
15	სამართლის საფუძვლები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე					მოწვეული ლექტორი დიმიტრი გეგენავა
16	აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციები	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე					პროფესორი ნოდარ ბელქანია
17	საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე					მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
18	ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციაში	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე					ასისტენტ-პროფესორი ლაშა ტუღუში
19	პროექტის მართვა	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე					ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე; მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე
20	სოციალური ფსიქოლოგია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე					პროფესორი გუგული მაღრაძე; პროფესორი რევაზ ჯორბენაძე; მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე
21	ინგლისური ენა 1 (სპეციალური ინგლისური ენა)	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე					მოწვეული ლექტორი დარეჯან აფციაური
22	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	5	15	30	5	75	შესავალი კონფლიქტოლოგიაში					პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
23	კონფლიქტების პრევენცია და	5	30	15	7	73	შესავალი					პროფესორი

	მართვა საგანმანათლებო სისტემაში						კონფლიქტოლოგიაში					გუგული მაღრაძე; მოწვეული ლექტორი ქეთევან ვასაძე
24	Conflict Assessment and Program Evaluation პროგრამების შეფასება (კონფლიქტების ანალიზი და მართვა)	5	30	15	5	75	შესავალი კონფლიქტოლოგიაში					სუზან ალენი
25	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS)	5	15	15	7	88	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები; სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები					მოწვეული ლექტორი ივანე კეჭაყმაძე
26	სამხედრო პოლიტოლოგია	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე					მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
27	ომი, ძალადობა და კონფლიქტის მოგვარება	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე					პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
28	ინგლისური ენა 2 (სპეციალური ინგლისური ენა)	5	15	30	5	75	ინგლისური ენა 1 (სპეციალური ინგლისური ენა)					მოწვეული ლექტორი დარეჯან აფციაური
29	კიბერუსაფრთხოება; კიბერდანაშაულის გამოძიება და პრევენცია	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე					მოწვეული ლექტორი ირაკლი წიკლაური
30	პოპულიზმი და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე	5	30	15	6	74	რომელიმე სასწავლო კურსის წინაპირობის გარეშე; თუმცა, აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა					ასისტენტ-პროფესორი ლაშა ტუღუში
	თავისუფალი კურსები/მოდულები - 5 კრედიტი (ECTS)											

* საგანი სავალდებულოა 2016–2017 და შემდგომი წლების მიღების მაგისტრანტებისთვის

** საგანი სავალდებულოა 2019-2020 შემოდგომის სემესტრის და შემდგომი წლების მიღების მაგისტრანტებისთვის

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი